წერილის ნომერი: **48-482433196**
თარიღი: **26/11/2024**

**ადრესატი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის № 23 დადგენილების შესაბამისად 2024-2025-2026 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ)ფ-ის მიერ დასაფინანსებელ პროექტებს, რომლებიც მოწონებული უნდა იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

გთხოვთ, წარმოდგენილი რგ(პ)ფ-ის დასაფინანსებელი პროექტების განხილვას და მოწონებას.

დანართი: რგ(პ)ფ -ს მიერ დასაფინანსებელი პროექტები.

გთხოვთ, იხელმძღვანელოთ აღნიშნული წერილით.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

პროექტი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა  №_ _**

2024 წლის _ _ ნოემბერი

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 ნოემბრის N48-482433196 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2024-2025-2026 წლებში საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები წარმოდგენილი დანართის მიხედვით.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულებაშეიძლება გასაჩივრდეს კანონითდადგენილიწესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე: — რევაზ დიდავა

**2024-2025-2026 წლებში რგ(3)ფ მიერ დასაფინანსებელი პროექტები**

| N | მუნიციპალიტეტი | პროექტის დასახელება | პროექტის კატეგორია | პროექტის სრული ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | წყალტუბო | სოფელ გვიშტიბი ბენდელიანების,კირთაძეების უბანი, ნიჟარაძეების უბანი,პირველი მაღაზიის უკან, პირველი ჩიხი,ჩავჩიძეების უბანი, №17 ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა | გზა | 542,878.00 |
| 2 | წყალტუბო | სოფ.თერნალში მე-15,18,21 ქუჩებზე გზების და ჩაის ფაბრიკის დასახლებაში საერთო საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | გზა | 363,308.00 |
| 3 | წყალტუბო | სოფელ ქვიტირში №10,22,25,11,4,5 და პირველი ქუჩა მე-11, მე-13, მე-7 ჩიხის გზის ბეტონის საფარით მოწყობა . | გზა | 1,444,266.00 |
| 4 | წყალტუბო | სოფელ ქვედა მესხეთში ნარეშელაშვილების უბანში გზის ბეტონის საფარით მოწყობა | გზა | 544,850.00 |
| 5 | წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში ბაღათურიების უბანში, ასევე სვანიძეებისა და სილაგაძეების უბნების დამაკავშირებელი გზის და შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფრით. | გზა | 694,951.00 |
| 6 | წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | გზა | 1,408,951.00 |
| 7 | წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ საჩხეურისა და დღნორისის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით | გზა | 3,115,654.00 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 8 | წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში №28 და №30 ქუჩების და სოფელ ქვილიშორში რუშავას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. | გზა | 1,408,951.00 |
| 9 | წყალტუბო | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ პატრიკეთში და ტყაჩირში შიდა გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით . | გზა | 591,267.00 |